არჩევნების შეფასება

2024 წლის საქართველოს
პარლამენტის არჩევნები

1995 წლიდან

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტის წევრები აირჩევიან **„საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი** და **პირდაპირი საარჩევნო უფლების** საფუძველზე ფარული კენჭისყრით“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი ადგენს დემოკრატიული არჩევნების ძირითად პრინციპებს: „სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ხალხის ნება უნდა გამოიხატოს **პერიოდულ** და **სამართლიან** არჩევნებში **საყოველთაო** და **თანასწორი** ხმის მიცემის უფლებით, **ფარული კენჭისყრისა** და სხვა თანაბარმნიშვნელოვანი **თავისუფალი** ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.”

,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას” მიაჩნია, რომ საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისას დემოკრატიული არჩევნების ხუთი ძირითადი პრინციპიდან ოთხი - საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, ფარული - დაირღვა.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს გამოვლენილი ფუნდამენტური ხასიათის დარღვევების ერთობლიობამ გავლენა მოახდინა ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე და, შესაბამისად, არჩევნების შედეგები არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საქართველოს ამომრჩევლის ნების გამოხატულება.

ამ ყველაფერს ხელი შეუწყო, წინასაარჩევნო პერიოდში, საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების მასშტაბურმა გამოყენებამ, სახელმწიფო უწყებების მმართველი პარტიის სასარგებლოდ ჩართულობამ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დაკომპლექტებისა და გადაწყვეტილების მიღების წესებში შეტანილმა ცვლილებებმა, ქვედა დონის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ნაკლოვანებებმა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრის პროცედურის არჩევნების დღემდე ჩატარებამ. ასევე, არჩევნების დღეს, დამკვირვებელთა უფლების შეზღუდვამ, რაც გამოიხატა, საარჩევნო უბნებზე არდაშვებაში, საარჩევნო უბნებიდან გაძევებაში, სადამკვირვებლო საქმიანობის ხელშეშლაში, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში და ფიზიკურ ძალადობაში.

არჩევნების საყოველთაობის პრინციპის დარღვევა

საქართველოს ყველა მოქალაქეს არჩევნებზე მისვლისა და საკუთარი არჩევანის დაფიქსირების შესაძლებლობა არ მიეცა.

- არჩევნების დღემდე ამომრჩევლებს ჩამოართვეს პირადობის მოწმობები, რის შედეგადაც მათ არ მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

- უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეეზღუდათ შემდეგი მიზეზების გამო:

  - ამომრჩეველთა არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ცესკომ საზღვარგარეთ დამატებითი საარჩევნო უბნები არ გახსნა, ამასთან, არ დაკმაყოფილდა „სამართლიანი არჩევნების“ ორი სარჩელი, უბნების გახსნასთან დაკავშირებით;

  - საარჩევნო უბნების არასათანადოდ მოწყობისა და კომისიის წევრების არასაკმარისი რაოდენობის გამო, უცხოეთში გახსნილს საარჩევნო უბნებზე შეიქმნა ხანგრძლივი რიგები. შედეგად, ამომრჩეველთა ნაწილმა ვერ შეძლო კენჭისყრაში მონაწილეობა.

თავისუფალი არჩევნების პრინციპის დარღვევა

ამომრჩეველზე ზეწოლამ, დაშინებამ და ამომრჩევლის ნების კონტროლმა, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს, მნიშვნელოვნად დააზიანა მოქალაქეთა თავისუფალი მონაწილეობა არჩევნებში.

- წინასაარჩევნო პერიოდში, ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, კვლავ გრძელდებოდა მათ შესახებ დოსიეების შეგროვება მმართველი პარტიის მხრიდან, უკანონოდ მოპოვებულ პერსონალურ მონაცემებზე დაფუძნებით;

- წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის აქტივისტები აგროვებდნენ მხარდამჭერთა სიებს, რაც შეიცავდა ამომრჩეველთა პერონალურ მონაცემებს, მათ შორის პირად ნომრებს;

- არჩევნების დღეს „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების 31%-ზე გამოავლინეს მმართველი პარტიის კოორდინატორთა მიერ ამომრჩეველთა აღრიცხვის შემთხვევები უბნის გარე პერიმეტრზე. აღრიცხვისას, რიგ შემთხვევებში, ხდებოდა ამომრჩეველთა პირადობის მოწმობების ფოტოასლების შექმნა ან ინფორმაციის ამოწერა;

- არჩევნების დღეს „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების 13%-ზე დააფიქსირეს ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევები უბნის გარე პერიმეტრზე. ამ პროცესში, მმართველ პარტიასთან აფილირებულ პირებთან ერთად, ჩართული იყვნენ ადგილობრივი პოლიტიკური თანამდებობის პირები და საჯარო მოსამსახურეები;

- მმართველი პარტიის წარმომადგენლები საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს მიუთითებდნენ, რომ ხმა „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ.

არჩევნების თანასწორობის პრინციპის დარღვევა

არჩევნების დღეს სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გამოავლინეს განმეორებით ხმის მიცემის შემთხვევები.

- წინასაარჩევნო პერიოდში ცესკომ დადგენილებით შეცვალა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრის პროცედურის ვადები და არჩევნების დღის ნაცვლად, არჩევნებამდე 1 კვირით ადრე განსაზღვრა. ამან შესაძლებელი გახადა კომისიის წევრების მხრიდან ისეთი დარღვევების უგულებელყოფა, რომელიც პირდაპირ არღვევს თანასწორობის პრინციპს და გავლენას ახდენს შედეგებზე. მათ შორის გამოვლინდა:

  - საარჩევნო უბნების 9%-ზე მარკირების როგორც შემოწმების ასევე გაკეთების პროცედურასთან დაკავშირებული სისტემატური პრობლემები. 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისას საარჩევნო უბნების მხოლოდ 1%-ში დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევები;

  - მრავალჯერადი ხმის მიცემის ფაქტები და მცდელობები, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან;

  - ამომრჩევლისთვის ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემის ფაქტები;

  - სხვის ნაცვლად ხმის მიცემის ფაქტები და მცდელობები;

  - ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევები.

- არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში დამკვირვებლებს ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისა პროცესზე დაკვირვების უფლება შეეზღუდათ, რითაც შეუძლებელი გახდა ამომრჩევლის ვერიფიკაციის პროცესის გადამოწმება.

კენჭისყრის ფარულობის პრინციპის დარღვევა

26 ოქტომბრის არჩევნებზე კენჭისყრის ფარულობა სისტემატიურად დაირღვა.

- წინასაარჩევნო პერიოდში, ფართოდ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალი საარჩევნო ტექნოლოგიების საშუალებით ხმის მიცემა ამომრჩევლის არჩევანს იდენტიფიცირებადს გახდიდა, რამაც შექმნა ფარულობის დარღვევის შიში ამომრჩეველში;

- კენჭისყრის დღეს ფარულობის დარღვევა გამოვლინდა სხვადასხვა სახით:

  - საარჩევნო უბნებში სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, ბიულეტენის უკანა მხარეს, მარკერის კვალი ჩანდა იმგვარად, რომ საარჩევნო სუბიექტების რიგითობის გათვალისწინებით ადვილად დადგენადი იყო ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

  - მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა საარჩევნო უბნებში განათავსეს ვიდეოკამერები, რომლებიც კენჭისყრის კაბინებსა და საარჩევნო ყუთებთან მიმართებაში იმგვარად იყო დამონტაჟებული, რომ ირღვეოდა კენჭისყრის ფარულობა.

  - საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ამომრჩევლებს ართმევდნენ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებულ ბიულეტენებს და თავად ათავსებდნენ ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატებში, რა დროსაც, მათთვის ცნობილი ხდებოდა თუ ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

  - დაფიქსირდა კენჭისყრის კაბინაში ამომრჩევლების მიერ შევსებული ბიულეტენისთვის ფოტოს გადაღების შემთხვევები. ხშირი იყო ფარული კენჭისყრის კაბინაში ორი და მეტი პირის ერთად შესვლა ბიულეტენის შესავსებად. ამასთან, ამომრჩევლის მიერ ფარული კენჭისყრის კაბინაში ბიულეტენის შევსების პროცესს ხშირად ესწრებოდნენ კომისიის წევრები.

  - ტრადიციული წესით ხმის მიცემისას გამოვლინდა ამომრჩევლის მიერ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ხმის მიცემისას ბიულეტენზე ხელმოწერის, ინიციალების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის განთავსების არაერთი შემთხვევა.

დოკუმენტი არ მოიცავს არჩევნების პერიოდში გამოვლენილი დარღვევების სრულ ნუსხას, თუმცა წარმოდგენილია იმგვარად, რომ ჩანდეს მიზეზ-შედეგობრიობა კონსტიტუციით გარანტირებულ პრინციპებთან მიმართებაში. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ „სამართლიანი არჩევნების“ შემაჯამებელი განცხადება.

„სამართლიანი არჩევნები“ აგრძელებს 26 ოქტომბრის არჩევნების შეფასებასს და ანალიზს. ასევე აწარმოებს სამართლებრივ დავებს შესაბამის ინსტიტუციებში.